№ 106
მაისის 19, სამშაბათი 1903 წ.
1877

# ივერია

№ 106
მაისის 19, სამშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ამ ნომერში ოთხი გვერდია.

პირველ მაისიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია"
ჰღირს 7 მან. 25 კაპ.

გაზეთის „ივერიის" ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საკუთარის ვენახების

## კახური ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდგან დაქირავებულია სარდაფი ვერაპა მაჭარიასი. კანტორა და მაღაზია ღვინის ყიდვისა იმავე სახლშია (ოლღის ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები იყიდება 25 კაპ. დაწყებული ბოთლი.

ნარდად მსურველს მიეცემა; ათ ბოთლზედ ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინის კანტორა სახლშივე თვითონვე მიუტანს.

ღვინო იყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროსპ. სახ. დობრინსკისა, ტელეფ. № 595.
დუქ. № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210
დუქ. № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფონ. № 60.
კავკასიის ადგ. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, ალუფოვისა და სხვა სავაჭრო-ლომის მაღაზიებში. (25—6.—18)

კვირას, 25 ამა მაისის, [illegible] ბაღში და ქართულ თეატრში გაიმართება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ

## სახალხო სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ

შემოწირულობათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება ქნ. ოლღა თადეოზის ასულის ჭიჭინაძისთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21 და ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა.

ქართველ ქალთა ამხანაგობის

## სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერად ძაფით ნაქარგებს და კაბებს ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
## ახალშენიშვილი

ოლღინსკის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დღ., ხოლო საღამ. 5—7-დღ. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდი და საღამ. 5—7-მდი. (წლ.)

ექიმი
## ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

## კერძო სამკურნალო
ექიმის მუსხელიშვილისა
([illegible])

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სავინზელისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ბიბილეიშვილი—ქალის სნეულებანი, 8—10 თავადი, სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ი. ჟღენტი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ლ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.
ს. ს. ბაღდავაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.
ი. ვ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
ლ. ა. მელიქიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროთერაპია 12—1 ს.
ს. გ. მანსვეტაშვილი—შინაგან, ნერვებისა და ბავშვების—კვირაობით 10—12 ს.
ბრ. ვ. ხოსრუშვილი—ელექტრონით და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
ა. ს. აფაქიძე—თვალისა, კანისა და საშარდეს 1—3 ს.

ს ა ღ ა მ ო თ:

ა. მუსხელიშვილი—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ოთხშ. და შაბათ. 5—6.
ს. ა. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მარო-ჩინებული და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი ა. დ. ნახაძიძე.

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

46—8 ტელეფონი № 617

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო-ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
კ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.
ქალი ექიმი ა. ი. შჩერბანინა 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардiана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ს ი ა

ქართვ. შორის წ.-კითხვ. გამავრც. საზ. წევრთა, რომელთაც შემოიტანეს საწევრო ფული 1—15 მაისის განმავლობაში:

| №№ | სახელი და გვარი | მ. | კ. |
|---|---|---|---|
| 90 | ვახტანგ სიდამონ-ერისთავი . | 6 | — |
| 91 | ქრისტეფორე მამაცაშვილი . | 10 | — |
| 92 | ანნა ბეგთაბეგიშვილისა . . | 6 | — |
| 93 | ექვთიმე ვაშაკიძე . . . . . | 6 | — |
| 94 | ბლ. მღ. ლუკა ქიპაშვილი . | 6 | — |
| 95 | ბლ. მღ. იოვანე მარგიანი. . | 6 | — |
| 96 | მღ. ლავრენტი დევიძე. . . | 6 | — |
| 97 | მღ. ვასილ დოლაბერიძე . | 6 | — |
| 98 | მღ. ბესარიონ მახარობელიძე . | 6 | — |
| 99 | მღ. სამსონ დევიძე . . . | 6 | — |
| 100 | დეკ. ერასტი მაჭარაძე . . . | 3 | — |
| 101 | გალაკტიონ თუთბერიძე . . | 6 | — |
| | | 73 | — |

სულ მდგომ. წ. განმავლ. შემოტან. 735 35

# ტფილისი

✦ პასუხად იმ დეპეშისა, რომლითაც გენერალ-ადიუტანტმა თავ. ზ. გ. ჭავჭავაძემ, გენერალ-ადიუტანტმა თ. ი. გ. ამილახორმა და გენერალ-ლეიტენანტმა თ. მ. კ. ამირეჯიბმა, თავად-აზნაურთა სახელით, გამოუცხადეს განუსაზღვრელი ერთგულება მის იმპერატორებით უმაღლესობას, დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს, მისმა უმაღლესობამ ღირს-ჰყო თავად-აზნაურობა შემდეგის საპასუხო დეპეშისა სოფელ მიხეილოვკიდგან, თავ. ზ. გ. ჭავჭავაძის სახელზედ:

„გულითადს მადლობასა გსწირავ ჩემს ძვირფასს თავად-აზნაურობას ტფილისის გუბერნიისას და თქვენ სამს მხცოვან მხედარს იმ გრძნობისათვის, რომელიც გუშინდელის დეპეშით განმიცხადეთ."

მიხეილი.

✦ თავად-აზნაურობამ მიიღო კიდევ შემდეგი დეპეშები:

პეტერბურგის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა:

„ღრმად ჩამწვდა გულში თქვენი ფასდაუდებელი ყურადღება პეტერბურგის თავად-აზნაურთა წარმომადგენელისადმი. ეს თავად-აზნაურობა მტკიცედ არის დაკავშირებული ქართველ კეთილშობილ თავად-აზნაურობასთან საერთო იდეალებით პატიოსნებისა და სიყვარულისა მეფისადმი და სამშობლოსადმი. გთხოვთ, თქვენო ბრწყინვალებავ, და თავ. ივ. გივის ძეს მიიღოთ და გარდასცეთ ტფილისის თავად-აზნაურობას და მის ღირსეულ წარმომადგენელს თავად დავით ზაქარიას ძეს გრძნობა ცხოველისა და განუვალის მადლობისა".

ალექსანდრე ზინოვიევი.

✦ მოსკოვის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა, სოფელ ზბურევკიდგან (დონის ოლქიდგან).

„მოსკოვის თავად-აზნაურთა სახელით ულრმეს მადლობასა ვსწირავ ტფილისის თავად-აზნაურობას, რომელმაც ღირს მყო თავის გულითადის მოლოცვის იმ ღირსსახსოვარ დღეს, როდესაც თავის წარმომადგენელს ირჩევდა. ვხარობ სრულის ჩემის გულით, რომ თავად-აზნაურობამ ასე სამართლიანადა და მიხვედრით დააფასა თავადი დავით ზაქარიას ძე და ბედნიერ ვარ, რომ მასთან წინანდებურად ხელის ხელ სვლა-მომიხდება სამშობლოსადმი სამსახურში. ვერ ვპოვებ სიტყვას ჩემის გრძნობის გამოსათქმელად იმის გამო, რომ მეც პირადად გახსოვართ. შორს მიმდვრად მყოფი ვსვამ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის სადღეგრძელოს, რათა კვლავ ღირსეული სახელი ატაროს და აღყვავდეს, მის სახელოვან წარმომადგენელთა თავად ამილახვრისა და ჭავჭავაძის მეთაურობით. მხურვალედ ვიმედოვნებ, რომ მალე მომიხდება ყოფნა ჩემს პურადობითა და სტუმართ-მოყვარეობით განთქმულ მოძმეთა შორის„.

თავადი ტრუბეცკოი.

✦ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, მისმა უმაღლესობამ პრინცმა ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგსკიმ კეთილ ინება დაეკითხოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, სურს თუ არა მიიღოს, მონაწილეობა სამეურნეო ქალ-ვაჟთა სასწავლებლის წარმოებაში, რომელიც უნდა დაარსდეს გაგრაში. თავად-აზნაურობამ სიხარულით მიიღო ეს ამბავი, დაადგინა დეპუტაცია გაგზავნოს, რომელიც მადლობას მოახსენებს მის უმაღლესობას ყურადღებისათვის და ამასთანავე გამოარკვევს, რა მონაწილეობა შეიძლება მიიღოს თავად-აზნაურობამ ახალ სასწავლებლის დაარსება-მსვლელობაში. ეს დეპუტაცია უკვე გაემგზავრა გაგრისკენ.

✦ ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნაკი: „კათოლიკეთა ეპისკოპოზის მობრძანება საქართველოში", გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. გადმობეჭდილია ჟურნალ „მოგზაურიდან". ფასი არ აწერია.

✦ 29 მაისს შესრულდება 50 წელი, რაც უწმინდესის სინოდის ქართლ-კახეთისა და იმერეთის კანტორის დროებითი პროკურორი ბ-ნი ჩიტაძე სახელმწიფო სამსახურშია. ამ კანტორის მოხელენი ამ დღეს დიდუბის ეკკლესიაში გადიხდიან პარაკლისს, შემდეგ მისალოცად მივლენ ბ-ნ ჩიტაძესთან და მიართმევენ ფოტოგრაფიულ ალბომს, რომელშიაც მოთავსებული იქნება ყველა მის თანამოსამსახურეთა სურათი.

✦ კვირას, 18 მაისს, საღამოს, ავჭალის სახალხო სამკითხველოს თეატრში სალიტერატურო და სასიმღერო საღამო იყო, პეტერბურგის 200 წლის იუბილეის გამო. დიდძალი მუშა-ხალხი მიაწყდა, რადგანაც ყველას შეეძლო შესვლა უფასოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, თეატრში საკმაო ადგილი არ იყო, და ბევრი გარედ დარჩა. საკვირაო სკოლის მოსწავლეთაგან შედგენილი დასი, ბ-ნ ცხომელიძის ლოტბარობით, მწყობრად გალობდა. შეგირდებმა წაიკითხეს ლექსები და პატარა სცენები რუსულად და ქართულად. ვისაც-კი შეეძლო შესვლა თეატრში, სიამოვნება ეტყობოდა.

## როგორ უნდა გავიგოთ დრო ვენახის წამლობისა?

ხშირად მოხდება რომ მემამულე სწამლობს ვენახს და წამალი ან სულ არ უხდება, ან და ცოტად ამის მიზეზი ზოგჯერ წამლის ცუდად შეზავებაა, ზოგჯერ უდროვოდ წამლობა, ზოგჯელ ერთიცა და მეორეც ერთად.

ჩვენში წამლობას მაშინ იციან უმეტესად, როცა ავადმყოფობა უკვე გაჩენილია ვენახში. ამ დროს წამლობა დაგვიანებულია, რადგან უკვე გაჩენილს ავადმყოფობას ვედარ მოსპობს, შეუძლიან მხოლოდ მის გაძლიერებას ეწინააღმდეგოს.

ამისათვის საჭიროა ვიცოდე დრო, თუ როდის სჯობია ვენახის წამლობა, რომ შრომამ უქმად არ ჩაგვიაროს. საფრანგეთში არის პატარა მემამულეებში გავრცელებული ერთი უბრალო საშვალება ვენახის წამლობის დროის გამოსაცნობად: ამ საშვალებითაც ცუდი არ იქნება ჩვენც ვისარგებლოთ; თუმცა უნაკლულო არ არის, მაგრამ მაინც დიდს სამსახურს გაგვიწევს. იგი მისთვის იქნება უფრო სასარგებლო, ვისაც ხშირად ვენახისათვის წამლობა არ შეუძლიან, ხოლო ვისაც შეძლება აქვს, თვის ვენახს ბევრჯელ უწამლოს, იმას იშვიათად გამოეპარება წამლობის დრო, რადგან მუდამ მზად არის ამისათვის.

აი როგორ უნდა მოვიქცეთ: ბევრ ჯიშში უნდა ამოვირჩიოთ ისეთი ჯიში ვაზისა, რომელიც სხვებზედ უფრო ადრე ხდება ავად და დავრგოთ ჩვენს ვენახში, სადაც სხვა ჯიშებიცა გვაქვს. როდესაც ამ ამორჩეულ ჯიშს დაეტყობა ავადმყოფობა, მაშინ ვუწამლებთ სხვებს, რომლებისაც ვიცით, რომ უფრო გვიან გახდება ავად. ამნაირად ჩვენ მივხდებით, თუ როდის სჯობია ვუწამლოთ ამა, თუ იმ ჯიშებსა. ამერეთში სხვა ჯიშებზედ უფრო ადრე ხდება ნაცრით ავად „ციცქა", ხოლო ქრაქით—„ოცხანური საფერე".

diga

## ხელოსანთა საყურადღებოდ.

ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო, ამბობს ჩვენი დიდება შოთა რუსთაველი.

სადაც ადამიანობაა, იქ უსათუოდ თქმაც უნდა იყოს, ხოლო კაი მთქმელს კაი გამგონიც უნდაო, ნათქვამია. ამ მაისის ხუთს ხელოსანთა მოურავს ბ-ნ რაიფაელოვს დეპუტატები ჰყვანდნენ გამგეობაში მიწვეულნი. დილის 9 საათიდანვე დაიწყეს შეგროვება, 10 საათამდის ელოდნენ და ბევრნი უკანვე დაბრუნდნენ.

სწორედ 12-ს ათი წუთი-და აკლდა, როდესაც ამოვიდა და პირველი საათი იყო დაწყებული რომ განუმარტა ხალხს შემდეგი: ჩვენა გვაქვს ერთი პატარა (ვიდასგანაც ნაჩუქარი) მამული სახელოსნო სკოლის ცოტა წინ; იმ მამულის არც გაყიდვა შეგვიძლიან, არც დაგირავება. რადგან ამ მამულზედ შენობა ჩამოინგრა და ვეღარაფერსა ვსარგებლობთ, ამიტომ განვიზრახე ამ მამულის გვერზედვე შანშიევის მამულის ყიდვა ას თუმნად; ის სახლი პრიკაზშია დაგირავებული. ამ ასის თუმნის გარდა პატრონს უნდა მივცეთ კიდევ ნაღდი ასი თუმანიც, ხოლო ათ თუმანს უკანვე გვიბრუნებს იმ აზრით, რომ განსვენების დროს პატივი გვცეთ სამარის კარამდე მიცილებით. აი ამიტომ მოგიწვიეთ, რომ ამოვირჩიოთ კაცები, დაათვალიერონ, ის მამული რამდენათ გამოსადეგი იქნება და თავიანთი აზრი წარმოგვიდგინონო.

9 კაცი თვითონ ამოირჩია და სამას ამორჩევის ნება ჩვენ მოგვცა, ხელოსნებს. ამ საქმისათვის ამოირჩა, რასაკვირველია, 12 კაცი და რა გადაწყვეტილებას დაადგებიან, ეს თვითონ იციან, ხოლო არ შემიძლიან ჩემი აზრი არ გავუზიარო მთელ 66 ამქარს. რადგან ეს ორივე ადგილი ჩემის თვალით დავათვალიერე.

ჩვენს საკუთრებას, ძალიან უნდა გავჭიმოთ, რომ 5—6 არშინი სიგრძე-სიგანე ჰქონდეს და ცოტა მეტი თუ იქნება შანშიევის მამულიც. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რაში უნდა მიეცეთ ორასი თუმანი და რისთვის უნდა გამოვიყენოთ? ჩემის აზრით, პრიკაზის ფულადაც არა ჰღირს და ამიტომ ვურჩევ ამომრჩეულებსაც და ბ-ნ მოურავსაც, ყოველ საქმეს სიფრთხილით მოექცნენ. ამ პატარა საკუთარ ადგილზედ მსურველები დღესავე არიან, რომ თავიანთ ხარჯით ააშენონ შენობა და დრომდის ქირაში შიგ იდგნენ. ჩვენ-კი უსათუოდ სამუოფი და შესაფერი ადგილი უნდა გამოვძებნოთ. აი ვაჭრობა ბანკებში კარზედაა მომდგარი. იქ ასობით მზად აშენებული მამული იყიდება. სამასი თუმანი უკვე მზადა გვაქვს და შეგვიძლიან სრულიად ზომიერი სახლ-კარი ვიყიდოთ ამ ფულით და მერე მოვჭყუვეთ და ბანკის ვალი ვიხადოთ იმ რაოდენობით, რასაც დღეს სახლის ქირათ ვაძლევთ. მართლა და, ვისაც გული შესტკივა ამოდენა ხალხისათვის, წინ-დახედულად მოიქცევა.

ეს ეს იყო კალამი დავდე ძირს, რომ ერთმა არა სასიამოვნო ამბავმა იჩინა თავი. ამ ხუთი ექვსის წლის წინად ყოფილ უსტაბაშებს საამქრო ფული გაუფლანგავთ და ახალ მოურავისათვის ნედოიმკად წარუდგენიათ. ამას, რასაკვირველია, ნისია ნაღდად არ მიუღია და უცნობებია პოლიციისათვის, რომ ამ ოდესმე ყოფილ უსტაბაშებისათვის გადაეხდევინებინათ და ნაღდი წარმოედგინათ.

არ იტყვით, როგორ მოქცეულან? აუღიათ ამათაც ეს ფული და ხალხზედ გაუწერნიათ ერთი ათად, იმათ შორისაც-კი გაუწერიათ, რომლებსაც იმ წლის გარდასახადის შეტანის ხელმოწერილი კვიტანციები ხელში უჭირავთ. ასე გასინჯეთ, ზოგიერთები იმ დროს შეგირდათა ყოფილან და იმათაც-კი ახდევინებენ. აი ფულის მოგებაც ამასა ჰქვიან! ჩვენ-კი გვიკვირდა, რად იმტვრევენ თავპირს უსტაბაშობისათვისაო.

# ჩვენებური ამბები

**ს. ხორში** (სამეგრელო) 9 მაისს მოჰკლეს აქ ციმბირიდან გამოქცეული ავაზაკი სოლომონ გუგუნავა.

—

**ს. ხობი.** (სამეგრელო): შარშან მოიკრიბა აქ ფული სამკითხველოს დასაარსებლად, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი სამკითხველო არ დაარ. სებულა იმედი მოგვცეს კიდევ, ფოსტის განყოფილება დაარსდებაო. მაგრამ ველით და ვერ-კი ვეღირსენით. მეტად მივიწყებულია და დაობლებული ჩვენი სოფელი. ერთ ჟურნალ-გაზეთს ვერსად ვერა ნახავ აქ.

—

**სოფ. გუგუნავათი.** (ქუთაისის მაზრა): დიდ გაჭირებაშია ჩვენი სოფელი უოველ წელს ცხენის წყალის ადიდების დროს: თან მოაქვს უოველივე და სულ ცოტა ხუთი ათას მანათის ზარალს გვაძლევს. ნაპირების გამაგრებას-კი სულ 500 მან. ეყოფოდა. არ იქნა, ეს კოშლიანმა სოფელმა ვერ მოახერხა ამ ხარჯის გაწევა და ნაპირების გამაგრება.

ჩვენს ბედობაზე არც სამკითხველოა და არც სკოლა, სამიკიტნოები-კი რამდენი გნებავთ. ქოლობანშია სკოლა, მაგრამ ნახევარსაც არა უოფნის სწავლის მსურველებისას.

ნოე რუშის-პირელი.

—

**ფრონის ხეობა.** 5 მაისს ფრონის ხეობას ღვთის რისხვა მოევლინა ზეციდან. ცეროვნისში ვიყავი, როდესაც ეს უბედურობა ხალხს დაატყდა თავს. საათის პირველი იქნებოდა. დაიწყო წვიმა, მოჰყვა წვრილი სეტყვა, დროგამოშვებით გადაიღებდა ხოლმე, ყველას გული გვიფანცქალებდა, რომ ჩვენი სარჩო საბადებელი ხელიდან არ გამოგვცლოდა. ვნახოთ, შოუხშირა სეტყვამ, ციდან წამოვიდა შავი საშინელი ღრუბელი, ამოიარა თამარაშენი და დაიარა ქათმის კვერცხის ოდენა სეტყვა, სახლის სახურავის ისე ხვდებოდა, თითქოს თოფს ისვრის ვინმეო, ისე მიიდებდა ჭახანს, რომ გულ-გასაგმირავად მოქმედებდა ადამიანზედ, სახლის ყვრები, როგორც—ბადე, ისე დახვრიტა. ყველა სტიროდა და ღმერთს შესთხოვდა, შეეწყვიტა ეს რისხვა ცისა. სახლების ზანზარი გაჰქონდა, საშინელი ზარის ხმა ისმოდა, სანახიროდან საქონელი დრიალით მორბოდა სოფლისკენ, ხეების ტოტები ჩამოლეწა, ვაზი სრულიად ჩაბეგვა. წვრილ-ფეხს, ხუდარ იტყვით, რასაც მოასწრო, იქვე სული გააფრთხობინა. საათი და ათი წუთი იყო ეს ღვთის რისხვა, ისე დასდო თეთრად, გეგონებოდათ, თოვლი სდევსო.

მოვარდა ატოცის ხევა, შეუვარდა სახლებში მცხოვრებლებს და ერთი წიოკობა და ვაი-ვაგლახი ასტეხა; ყველა ბედას თხოულობდა და მშველელი ვინღა იყო? ყველას თავისი-თავი გასჭირებოდა.

სამის ნახევარი იქნებოდა, ვეშურებოდი კნოღევისკენ, რომ ჩემი საცხოვრებელი მენახა, ამოვიარე ავლევში და, ის თქვენმა მტერმა ნახოს, რაც მე აქ ვნახე, ისევ ის სურათი წარმომიდგა, რაც ცერანისსა და თამარაშენში იყო (თამარაშენიც სულ თეთრად იყო დაფარული).

მოველ კნოღევში და ვაი ამ სანახაობას; აქ ოცი წუთი უოფილიყო სეტყვა, მაგრამ უფრო სხვილი, ბატის კვერცხის ოდენა გამოვიდოდა ზოგიერთი. ერთი სეტყვა გამოსწონეს და ნახევარ გირვანქას ორი მისხალი აკლდა. აქ ისე არ იყო წამხდარი ჭირნახველი, როგორც ცეროვნისში.

რადა თავი შეგაწყინოთ, ამ ერთის საათის წინად ფრონის ხეობა ჰყვაოდა და მხიარულობდა მოსავლის იმედის ჭირნახულით, ვენახით და ხილით, ახლა-კი ყველას თავზარი ჩამოსცემია.

ეს მეორედ მოვუსწარი ამისთანა სეტყვას, ერთი იყო 1899 წ. 2 ივნისს, რომელმაც მთელი ხეობა ძირიანად ამოაგდო და მეორეც ახლა. შარშან აღდგომას რთვილმა წაგვახდინა და ჩვენც ამაზე მეტი აღარ გვინდა, თავად ხალხი ისეც დაბეჩავებულია და ახლა ხომ სულ წყალ—წაღებულნი შეიქნა.

კარგია, რომ მორტირები გავიჩინოთ სეტყვის ასაცდენად, მაგრამ ამისი ძალა არ შეგვწევს.

საჭიროა კომისია შესდგეს და მოიყვანოს ცნობაში ხალხის ზარალი. ხალხს შველა ეჭირვება.

დუშიკო.

# რუსეთი

საერო განათლების სამეცნიერო კომიტეტმა, რომელიც საშუალო სკოლის რეფორმას ადგია, უკანასკნელ სხდომაზე მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება საშუალო სკოლებში ბუნების მეტყველების სწავლებას. ეს საგანი შემოღებულ იქნება სამივე ტიპის საშუალო სკოლაში, მხოლოდ ბუნების მეტყველების სწავლების დაწვრილებითი პროგრამა ჯერჯერობით არ არის შემუშავებული.

— გზათა მინისტრის განკარგულებით, ყველა რკინის გზების გამგეობათ უნდა იხმარონ ყოველნაირი საშუალება, მატარებლებში თუთუნის მოწევის შესახებ წესების დასაცველად.

— მაისის 10-ს ქ. როსტოვში დაატუსაღეს ვიღაც უცნობი კაცი, რომელიც, ოფიცრის მუნდირში გამოწყობილი, ქ. როსტოვში საიდუმლო პოლიციის მოწყობას შეუდგა: დაიქირავა აგენტები, გამოართვა მათ გირაო, გზავნიდა სხვა-და-სხვა მინდობილობით და აწარმოებდა საქმეს ლამაზად მოწყობილ სახლში.

# უცხოეთი

**ინგლისი.** როგორც „Berlin. Tagebl.", იუწყება, ჰაიდპარკში მომხდარი მიტინგი იმ ბილის საწინააღმდეგოთ, რომელიც ხალხის სწავლა-განათლებას შეეხება. ყრილობას 500,000 კაცი დასწრებია. ეს პირველი სახალხო ყრილობაა, რომლის მსგავსიც ჯერ არ მომხდარა თურმე ჰაიდ-პარკში. მიტინგს ლონდონის ყველა პროგრესიული ელემენტები ერთად შეეგროებინა. მღვდელი, მოქალაქე, მუშა და მრავალი უმაღლესი კლასის წარმომადგენლები—ყველა ერთი აზრით იყო გამსჭვალული. მათ ხელში ეპყრათ მრავალი დროშა ზედ წარწერით: „პროტესტი განათლების შესახებ ლონდონის კანონს, რომელიც უაზროა ბავშვებისათვის, უწესოა მასწავლებელთათვის".

ბაღში 12 ტრიბუნა იყო აღმართული ორატორებისათვის. ხალხი აღტაცებით უსმენდა ორატორებს. ორატორები ჰკიცხავდნენ მოქმედებას მთავრობისას, რომელსაც ძოუსურვებია „ხალხის თავისუფლების ალაგმვა". ერთმა ორატორმა სთქვა: თუ მთავრობა უარჰყოფს სასკოლო საბჭოებს, მაშინ ჩვენ ვეცდებით გავაუქმოთ თითონ ეს მთავრობაო. ამ სიტყვებს ხალხი აღტაცებით და ტაშის ცემით ძიეგება, განსაკუთრებით ჰკიცხავდნენ ბალფურსა და ჩემბერლენს. ხალხი-კი ამ გვარ გაკიცხვას და შეურაცხყოფას კაბინეთის წევრებისას დიდის სიამოვნებით ისმენდა.

—

**პარიჟი** (წერილი მე-23)

პანთეონი

წმიდა ლუისა და ჟანადარკის სახელობაზე დახატულ სურათებს შორის, პანთეონის მარცხენა მხარეზე მოსჩანს მხატვარ ემბერის მიერ დამზადებული ახალი სტილის სიმბოლიური სურათები. შევჩერდეთ მათზე. სულ ოთხი სურათია. პირველი სურათი "რწმენაა". ზღვის პირად იალქნიან ნავში მეთევზეები ლოცულობენ. ეს არის მზეც ამოდის. ზაფხულია. ღრუბლები მზის სხივებს დედა-მიწამდე არ უშვებენ. ზღვა წყნარია. მოლურჯ-მომწვანო ტალღები ეხეთქებიან ნაპირებს. ზღვაში კუნძული მოსჩანს ტყით დაფარული. კუნძულზე საშინელი ნისლია. მთელი სურათისაგან გამოკრთის რაღაც საიდუმლოების მსგავსი. ეს „რწმენაა".

მეორე სურათი წარმოადგენს ბაღს. ბაღში ზის მოხუცი. ხელში ბავშვი უჭირავს. ბავშვი ჰკოცნის და ეალერსება თავის დას. დედა თხას სწველის. ის ერთ წამს წველას თავს ანებებს და შვილებს უცქერის. ცოტა გამორებით შუაგულ ბაღში ბავშვი მწიფე ხილს სწყვეტს და აძლევს ხის ძირში-მომდგომ ახალგაზრდა ქალს. დილაა. დილის მზის სხივები ეთამაშება ბაღის ბუნებას. სურათს ჰქვია „იმედი". მართლაც ეს იმედია, იმედი მორწმუნე კაცისა, იმედი მოსვენებულ და ბედნიერ ცხოვრებისა.

მესამე სურათი „საომრად გაწვევაა". ზამთრის ღამეა. ვიწრო რგოლი ახალის მთვარისა წყნარად მისცურავს ღრუბლებში. თოვლს დაუფარავს დედა მიწა. სურათის შუა ადგილას, ორი მხედარი თეთრ ცხენზედ სხედან ხიდირის ტყავში გახვეულები. წინ ახალგაზრდა მეომარია: ემშვიდობება თავისს საყვარელს ცოლს, რომელიც ყელში ჩაჰკონებია. მეორე ქალი ძუძუ მწოვარა ბავშვით ხელში კარებში სდგას და სიბრალულის თვალით უცქერის მათ. იქვე მეორე კაცი რაღაცას აკეთებს. შორიდგან სანთელი ანათებს. ემზადებიან ბრძოლის ველზედ გასასვლელად. მათ სახეზე გამოიხატება თავ-განწირულება. სახლში ცოცხლად დაბრუნების იმედი არავისა აქვს. განა-კი შეიძლება იმედი ჰქონდეთ გადარჩენისა?

მეოთხე სურათი ავადმყოფ სოფელს წარმოადგენს. ქუჩაზედ მკვდარი ბავშვი გდია. სკამზედ გაციებული ქალის გვამია. ერთ ადგილს მოხუცი და ახალგაზრდა ქალი უვლიან შავი ჭირით მომაკვდავს ადამიანს. საშინელი სურათია, გასაოცარი მორთულობაა. მშვენიერი ქალი ამ საშინელ ტანჯვა-წვალებას მომაკვდავისას თავს ევლება და უოველ ღონეს ხმარობს—იხსნას გაჭირვებული განსაცდელისაგან. ავტორს სურათისთვის „გულ-კეთილობა" დაურქმევია და არც შემცდარა.

მე მგონია, რომ ზემო ნათქვამიდგან ნათელი იქნება, თუ რად ვუწოდე ემბერის სურათებს სიმბოლიური. სიმბოლიზმი ხელოვნებაში ახალი არ არის. პირიქით ის ძველია, როგორც თვით ხელოვნება. ახალია მხოლოდ მასში კონცეპცია. და დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საშუალო საუკუნის მხატვრები გულკეთილობას სულ სხვა გვარად დაგვიხატავდნენ, მაგალითად შემიძლიან დავასახელო ერთი სურათი იტალიელის მხატვრის სარტოს „გულ-კეთილობა",—რომელიც შექმნილია მეთექვსმეტე საუკუნეში. მაგრამ ახალი ხელოვნების შინაარსი კონცეპციების განახლებაში არ გამოიხატება. ახალი ხელოვნება ბუნების მეტი ცოდნაა. სხვა არაფერი, რის შესახებაც შემდეგ წერილში ვრცლად მოგილაპარაკებ.

ვ. ხუდადოვი.

# ნარევი და ნაკვესი

ცხოველთა მეგობრობა.

ერთი მიუნხენელი მოგვითხრობს: როცა-კი კარგი ტაროსი იყო, ერთ სახლის წინ უოველ დღე შევხვდებოდი ხოლმე ორ წამოწოლილ ძაღლს და მათს ახლოს კიდევ მხტუნავ კატას. კატას ეტყობოდა, რომ ძაღლების საზოგადოებაში თავს კარგად ჰგრძნობდა. ამ სურათს სრულიადაც არ მივაქცევდი ყურადღებას, რადგან ძაღლებსა და კატებს შორის მეგობრობა, ყველასაგან შემჩნეული, რომ იშვიათი მოვლენა არაა, მაგრამ ერთ დღეს შემდეგი სურათი ვნახე: მძინარე ძაღლთან მოიჭრა სირბილით კატა, პირში გაგუდული მინდვრის თაგვი ეჭირა, თაგვი ძაღლის წინ დააგდო და ისეთის ხმით დაიწყო კნავილი, რომ ძაღლმა თვალები გამოაჭყიტა და განცვიფრებით დაუწყო კატას ცქერა. კატამ თაგვი თათით პირთან მიუტანა, ძაღლს ის-და დარჩენოდა, პირი გაეღო და თაგვი შეეჭამა. ასეც მოიქცა. კატაც ამით კმაყოფილი დარჩა: დაიწყო სიამოვნებით კნავილი, თვალების ხამხამი, ბეღელზედ ხახუნი და ხრუტუნი. ამის შემდეგაც ძალიან ხშირად ვხედავდი ხოლმე ამგვარ სურათს, სანამ სიცივეები არ დაიჭირაო, დასძენს ამ ამბის მომთხრობელი

ახალი კანონი ჩრდილოეთ ამერიკის შტატებში დასახლების შესახებ. ამ კახონის ძალით იქ დასახლება არ შეუძლიანთ. 1) იმისთანა დამნაშავეთ, რომელნიც მათ მიერ ჩადენილ დანაშაულობისათვის შტატების კანონითაც სასტიკად უნდა დაისაჯონ. პოლიტიკურ დამნაშავეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში არ მიეცემათ იქ დასახლების ნება, თუ მათი დანაშაული ამტკიცებს მათ ზნეობრივ გახრწნას და გარყვნილებას. 2) იდიოტებს, სულით ავად-მყოფებს და მახინჯებს. 3) იმათ ვინც გადამდებ და ახუ შესახედად მუსაზარის სენითა არიან ავად და რომელთა განკურნება მცირე ხანში შეუძლებელია. 4) მრავალ ცოლიანებს და იმ ქალებს, რომელნიც ამერიკაში საროსკიპოდ მიდიან. 5) იმათ, რომელთაც საკუთარი შრომით ცხოვრება არ შეუძლიათ და მოწყალების თხოვნით უნდათ იცხოვრონ. 6) იმ მუშებს, რომლებსაც ხელშეკრულება აქვთ დადებული სამუშაოდ თავიანთ ქვეყანაში.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

17 მაისი

**ლენქორანი.** ძარცვა გლეჯა და მკვლელობა თითქმის უოველ დღე ხდება. მოვიდნენ ყაზახები საზღვრის დასაცველად.

**სმოლენსკი.** დღეს მოვიდა აქ დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე. დაჰხვდნენ სადგურზე გუბერნატორი, სამოქალაქო და სამხედრო მოხელენი. სადგურიდან დიდი მთავარი წავიდა პირველ ქვეითა დივიზიის ბანაკში, სადაც აკურთხეს დროშა, ეს დროშა ასი წლის იუბილეის გამო ებოძა კოპორის ქვეითა რაზმს.

**ფორტ-დე-ფრანსი.** ვულკანი პელე ხელ-ახლა იწყებს მოქმედებას. მოხელენი თხოულობენ, მცხოვრებნი სხვაგან გადავიდნენ კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილიდგან.

**სტამბოლი.** პორტამ რუსეთისა და ავსტრო-ჰუნგრეთის საელჩოებს გადასცა მოხსენება რეფორმების განხორციელების შესახებ.

**ლონდონი.** „ტაიმს"-ს მანჯაიდან დეპეშებით ატყობინებენ, რომ გუშინ უენ-ნან ფუდას დეპეშა მოვიდაო. დეპეშაში ნათქვამია, რომ აჯანყება ჩააქრეს და შიში მოსალოდნელი აღარ არისო.

**პარიჟი.** დეპუტატმა დელოკმა წინადადება შეიტანა პალატაში, გადაუცეს 10,000 ფრანკი ქმის შარნოს რომელიც ჰფიქრობს ექსპედიციის მოწყობას სორდენშილდის ექსპედიციის მოსაძებნად.

**იოკაჰამა.** იაპონიის პარლამენტის ბევრმა დასმა გადასწყვიტა, ბრძოლა დაუწყოს მთავრობას და მოითხოვოს მინისტრთა პასუხის მგებლობა.

**ბერლინი.** „ფრანკ. ცაიტ."-ს კონსტანტინეპოლიდგან ატყობინებენ 15 მაისის თარიღით: „ბევრი აქ დაპატიმრებული ბოლგარელი გუშინ გაანთავისუფლეს".

18 მაისი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა კრონშტადტის რეიდი; ამავე დროს გაიმართა გემების ვარჯიშობა, იახტა „ალექსანდრიაზე" ბრძანდებოდნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცანი მარიამ თეოდორეს ასული და ალექსანდრა თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და რამდენიმე პირი ხელმწიფის ამალიდან. შემდეგ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათ გასინჯეს კრეისერები: „ადმირალი ნახიმოვი", „ბაიანი" და „ჰერცოგ ედინბურგსკი".

**პეტერბურგი.** იუბილეის დღისთვის სასარგებლო მოღვაწეობისათვის ქალაქის თვითმართველობის ასპარეზზე უმოწყალესად ებოძათ: ქალაქის თავს ლელიანოვს—დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა; ხმოსნებს: ოპპენგეიმს—ორდენი წმ. ანნას პირველი ხარისხისა, სტასიულევიჩს და გეშვენდს—ორდენები წმ. სტანისლავის პირველი ხარისხისა, კომაროვს—წმ. ვლადიმერის მესამე ხარისხისა, შულცს და პოტეხინს—წმ. ანნას მეორე ხარისხისა და ხუდეკოვს გამოეცხადა უმაღლესი კეთილ-განწყობილება.

19 მაისი.

**სტამბოლი.** ჰილმი-ფაშას წარმოდგენილ საზოგადო ანგარიშიდან სჩანს, რომ 722 მაჰმადიანთა დანიშნული ჟანდარმად; 121 პოლიციელი და 15 მოხელე გადაყენებულია სამსახურიდან; უსკიუბის ვილაიეტში გამართეს 10 საზოგადოებათა ოლქი, მონასტერისაში 8; დატუსაღებულია 270 კაცი საზოგადო ხასიათის დანაშაულობისათვის; ამ რიცხვში არ არიან დატუსაღებული კომიტეტის წევრები. უსკიუბის, სალონიკის და ადრიანოპოლის ვილაიეტებში ბოლგარიაში გაგზავნილთა გადასაყვანად დანიშნულმა კომისიებმა უკვე დაიწყეს მოქმედება ოთმანის ბანკის განყოფილებებში.

**პეტერბურგი.** ამ წლის ნოემბერს პეტერბურგში გაიმართება საერთაშორისო სამეცნიერო სამრეწველო გამოფენა ამ სახელით „ბავშვთა ქვეყანა". გამოფენას აზრათა აქვს წარმოდგენა ბავშვის ცხოვრებისა და გარემოებისა დაბადებიდან დაწყებული სკოლაში შესვლის ხანამდის.

**პარიჟი.** გამოცხადებულია ბრიუსელის შაქრის კონვენცია.

**სტამბოლი.** აქ დაარსდა ოთხი დღით კარანტინი ერტიდან მოსული პრავენანსებისა.

## სასამართლოს შესახები ცნობანი.

24 მაისისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1. ფედოთ ლაკტიონოვისა და კონსტანტინე ხიზანოვის საქმე.
2. ნიკოლოზ ბარქაიას ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართველობასა და აზოვის სავაჭრო და ნაოსნობის საქმე.
3. ვლადიმერ ხუნდაძისა და არტემ ოქოევის საქმე.
4. ნიკოლოზ ბრეგაძისა და პავლე ვახიძის საქმე.
5. თ-დ დიმიტრი წერეთელისა და თ-დ კოსტანტინე წერეთელის საქმე.
6. ნარიმან ვარდასანიძისა და ნესტორ და გრიგოლ პანჩულიძეთა საქმე.
7. თ. იასონ ფავლენოვის, ეგნატე ციცა, სოსე და სადო ლამბაშიძეთა და თ-დ კოსტანტინე ხიდირბეგოვის საქმე.
8. ილია სანიძისა და გიორგი აივაზოვის საქმე.

31 მაისს.

1. მამედ ეფენდი მუავანაძისა და იაკოფ ბარსკის საქმე.
2. იოსებ ზაუტაშვილისა და დიმიტრი ტლაშაძის საქმე.
3. თ-დ მიხეილ ჩოლოყაევისა და ვლადიმერ ჟუკოვსკის საქმე.
4. საქულ ქირუმოვის, სვიმონ ღლიღვაშვილისა და ილია ოტაშვილის საქმე.


# განცხადება

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავდმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და ისყიდება
**ლედი ჯენ**
ჯემსონის მოთხრობა სურათებით
სააღდგომო საჩუქრით
ვარაყიანის ყდით 1 მ.

იყიდება ჯეჯილის რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ჯეჯილის რედაქციაშივე ისყიდება 1897, 98 და 99 წლების ჯეჯილი თითო წლისა ორ მანათად.

**დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი**
**„ჩვენს დედებს"**
პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.
**ფასი 25 კაპ.**
**ადრესი:** ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს.

**ახალი წიგნები**
გამოვიდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.
სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

| | | |
|---|---|---|
| **სიმღერა** აკაკისა. ფასი | . . . . . . | 15 ,, |
| **თამარ მეფის სურათი** აკაკის ლექსით | . . | 6 ,, |
| **პატარა ჩონგური** ლექსი (დედა-ენა) | . . . | 5 ,, |
| **თამარ მეფე** მოთხრობა აკაკისა | . . . | 5 ,, |
| **ვაჭრული ჭკუა,** ლექსი აკაკისა | . . . | 5 ,, |
| **დათუნა გოცირიძე** / **როსტომ ერისთავი** — ძველებური ამბავი აკაკისა | . . . . | 5 ,, |
| **აბრამის და ისაკის** ლექსი | . . . . . | 3 ,, |
| **ოქრუა** (ხალხური ზღაპარი) | . . . . . | 5 ,, |
| **ორი ქოსატყუილა** / **ბიჭია მენახირე** / **მეფე და სკვინჩა** — ხალხური ზღაპარი. | | 10 ,, |

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіавская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.
**ქაჯანა**
მოთხრობა ნ. ლომაურისა, ფასი 5 კაპ.

2.
**ალი**
მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

**ლაბარატორია**
**რის გუტმანისა**
მისის იმპერატორებითის. უდიდებულესობის კარის ვაჭარი.




**ინდოური მიშუნაი**
(ქიმიკოსის რის გუტმანისა)

ნამდვილი გაწყვეტა ვირთაგვებისა, თაგვებისა, თხუნელებისა და სხვათ მათ გვართა. ეს საშუალება განდევნის სახლებიდგან და სადგურებიდგან, განსაკუთრებით ზემოხსენებულ პირუტყვებს იმრიგად, რომ იატაკის ქვეშ არა რჩებიან და ცუდს სუნს არ ავრცელებენ იქიდგან. ფასი 60 კ.—1 მ. 50 კ.

**ინდოური ფხვნილი მწერთა მოსაგერებლად**
ყველაზედ ნამდვილი საშუალება საბოლოვო გასაწყვეტად ყოველგვარ მწერთა და მათის თესლისა. ეს ფხვნილი შეუდარებელია რწყილის და ბაღლინჯოს გასაწყვეტად კრაოტებში, ლეიბებში, გალესილ კედლებში და აგრეთვე ფიცრის კედლებში. რომელსაც გაკრული აქვს ნაბდები და ნაჭენძი. ჩრჩილსა სწყვეტავს ნავთალინისავით და ამასთან მასავით მძიმე სუნი არა აქვს. ამიტომ საჭირო არ არის ქურქისა და სხვა ტყავიან სალმელების შესანახავად მიცემა ზაფხულში. ეს ფხვნილი თავის მოქმედებას ყოველ გვარი ჭია-ღუის წინააღმდეგ თითქმის წუთის განმავლობაში იჩენს. ფასი 35 კ., 65 კ. და 1 მ. 20 კ.

**სითხე ბაღლინჯოს წინააღმდეგ** (ქიმიკოსს რის გუტმანისა). სამუდამოთა სწყვეტავს. სასიამოვნო სუნისა არის და ამასთან არ ალაქავებს საცვლებს, შპალერს და მებელს. შეფრქვეული ოთახის ჰაერს სასიამოვნოდ აგრილებს და ამასთან ერთად განდევნის ჩრჩილს, ბუზებს და კოღოს. ფ. 60 კ.—1 მ.

**ტოკაის ბალზამი** (ქიმიკოსის გუტმანისა) განკურნავს ბებერას, მეჭეჭს და სხვა ამ გვარს, მოკლე დროს განმავლობაში. ძირიან-ფესვიანად სპობს და ამასთან არავითარ ტკივილს არ აგრძნობინებს ადამიანს. ფასი თითო ფლაკონისა 60 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისში, სააფთიაქ. საქონვაჭრ. ამხ.-ში და ყოველს სააფთიაქო მაღაზიაში.

(40—6.—20)

**ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!**
**ჰიგიენური**
**ბორნო-ტიმოლის საპონი**
პროვიზორის
**გ. ფ. იურგენსისა.**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხ—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ. ოქროს მედალი, ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა** 50 კ. $^1/_2$ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სახაფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში.** (40—6.—12)



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

Б. М. МИРИМАНIАНА

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—13)

იძლევა ქირით

# სახლები

ზემო სართულში 4 ოთახი სამზარეულოთი, საკუჭნაოთი და 3 ბალკონით. შუა სართულში 3 ოთახი რკინის ბალკონით, სამზარეულოთი და საკუჭნაოთი, კიდევ შუა სართულში 4 ოთახი—სამზარეულოთი. ყველა ოთახები ახლად შეკეთებულია შეიძლება ცალკ-ცალკეც გაქირავდეს. ადრესი 8 ნაწ. არსენალის ქუჩა № 14 იკითხეთ სახლის პატრონი.

(5—124—1)

გამოვიდა და იყიდება ყველგან

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

## ბარტეკ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.




მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

## „ოდოზრინი“ მ. ვ. ლებედევისა.

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6.—10)

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

# „ჯეჯილი“

წელიწადი მეთოთხმეტე

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორადაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა-კით. გამ. საზოგად.“ კანცელარიაში (**Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101**) და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (**Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса**).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцiю грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*


## ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის წესდების მე-14 §-ის თანახმად, ამით აცხადებს, რომ ივნისს ამა 1903 წლისას, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სახლში, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება უძრავი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასასადების შემოუტანლობისათვის, მე-12, 17, 27, 28 და 36 §§-მებრ.

ვაჭრობა იმ მამულებისა, რომლებზედაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული, მოხდება: 1) ქალაქის მამულებისა, ტფილისისა—21 ივნისს; 2) ტფილისის გარეშე ქალაქებისა და აგრეთვე იმ მამულებისა, რომლებზედაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული, როგორც ქალაქის მამულებზე—23 ივნისს; 3) სოფლის მამულებისა, რომლებზედაც გაცემულია გრძელ-ვადიანი სესხი—25 ივნისს და 4) სოფლის და ქალაქის მამულებისა, რომლებზედაც გაცემულია ხანმოკლე-ვადიანი სესხი—27 ივნისს.

მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ყველა მამულებისა, ბანკის წესდების მე-20 §-ის თანახმად, მოხდება იმავე გამგეობაში 12 ივლისს 1003 წლისას.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე-17 §-ის თანახმად, ქვემოხსენებულ ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება სავადო და აგრეთვე საერობო და საქალაქო ხარჯები.

ვისაც იმ მამულების ვაჭრობაში სურს მონაწილეობა მიიღოს, რომელ გირავნობითაც გაცემულია გრძელ-ვადიანი სესხი, აგრეთვე ის მოკლე ვადიანი სესხნი, რომელთა თავნი ვალის გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა, ვალდებულია წარადგინოს ნაღდ ფულად გირაო, რომელიც უნდა უდრიდეს ბანკში შესატან დარჩენილ გადასახადთა, და აგრეთვე იმ დარჩენილ საქალაქო და საერობო გადასახადთაც, რომლებიც ვაჭრობის დღისთვის მამულზედ აღმოჩნდება. იმ მამულებისა-კი, რომელთა გირავნობითაც მოკლე-ვადიანი სესხია გაცემული და რომელთა გადახდის ვადა დამდგარია,—უნდა წარადგინოს გირაო, ზემოაღნიშნულ თანხის გარდა, თავნი ვალის 10% კიდევ.

ვაჭრობის დამთავრების შემდეგ მსყიდველი ვალდებულია წარადგინოს: ნასყიდობის გარდასახადი—7 დღის განმავლობაში, და ის ფული, რომელსაც ვაჭრობაში წაუმატებს, 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის დამთავრების დღიდგან.

თავნი ვალი გრძელ-ვადიანი სესხისა, აგრეთვე იმ მოკლე-ვადიანის სესხისა, რომელთ გადასახადის ვადა ჯერ არ დამდგარა, მყიდველს შეუძლიან თავის სახელზედ გადიტანოს, ისე-კი რომ პირველ მფლობელის ყოველივე ვალდებულება თვითონ იკისროს. ხოლო იმ მოკლე-ვადიან სესხის თავნი ვალი-კი, რომლის გარდახდის ვადა დამდგარია, მყიდველმა სავსებით უნდა გარდაიხადოს ნაღდ ფულად 14 დღის განმავლობაში ვაჭრობის დამთავრების დღიდგან.

ბანკის წესდების მე-15§-ის თანახმად, პატრონს შეუძლიან შემოიტანოს დარჩენილი გარდასახადი ვაჭრობის დღემდე და მით განითავისუფლოს მამული ვაჭრობიდგან.

ვისაც ვაჭრობაში სურს მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან გასასყიდ მამულების შესახები საქმენი ბანკის კანცელარიაში განიხილოს ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა.

ამასთან გამგეობა აცხადებს, რომ, თუ ვკი ნიცობაა პირველ დასაწყისი აწერილობა მამულისა არ შეეთანხმება დღევანდელს ვითარებას, იგი ამისთვის პასუხის მგებლობას არა ისრულობს.

## 1. ქალაქის მამულები,

რომელთ გირაოთიც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული.

საჯარო ვაჭრობა 21 ივნისს 1903 წ.

ტფილისისა.

## I. ქალაქის მამულები

ტფილისის გუბერნიაში·

ტფილისი.

აბელოვი ნიკოლოზ გრიგოლის-ძე (უფროსი ნოტარიუსის ცნობით ეს მამული იყიდა იაკობ ნიკოლოზის ძემ და ანნა ილიას ასულმა როსტოვებმა): შენობანი და მიწა ზომით 306 ოთხკ. საჟ. მე-7 ნაწილში, ნოვო ტროიცკის ახაშენში.

თავნი ვალი 2606 მ. 86 კ. შეს. გარდ. 126 მ. 33 კ. სულ 2733 მ. 19 კ.

აბრამოვები ილია აბრამის ძე, ალექსანდრე ისაიას ძე და ტასია სტეფანეს ასული: შენობანი და მიწა, ზომით 60 ოთხკ. საჟ., მე-10 ნაწ. რკინის გზის ლიანდაგთან.

თავნი ვალი 546 მ. 23 კ. შეს. გარდ 35 მ 11 კ. სულ 581 მ. 34 კ.

